მოქალაქეთა გადაადგილება

http://www.eu-nato.gov.ge/ge/eu/persons-movement

სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის შეთანხმებები

ხალხთა შორის კავშირების ინტენსიფიკაცია და უსაფრთხო მიმოსვლის ხელშეწყობა ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის" ერთერთ საკვანძო მიმართულებას წარმოადგენს. აღნიშნული პოლიტიკა, ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებში უსაფრთხოების განმტკიცებასა და სტაბილური გარემოს შექმნისკენ და შედეგად, თავისუფალი და უსაფრთხო ევროპის იდეის რეალიზაციისაკენ არის ორიენტირებული.

გეოპოლიტიკური ცვლილებებისა და აღმოსავლეთით გაფართოების შემდეგ ევროკავშირი ახალი გამოწვევების წინაშე დადგა. ახალი მიგრაციული ნაკადების მართვა ერთერთ მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა. აღნიშნულ გამოწვევებზე პასუხად, **სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის შეთანხმებები** პარტნიორ ქვეყნებში ცალკეული კატეგორიების პირებისთვის გარკვეული სავიზო პროცედურების გამარტივებითა და უკანონოდ მცხოვრებ პირთა სამშობლოში რეადმისიის პროცედურების მოწესრიგებით ხელს უწყობს უსაფრთხო მიმოსვლასა და ხალხთა შორის კონტაქტების ზრდას.
ევროკავშირს სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის შეთანხმებები დადებული აქვს დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებთან, რუსეთთან და „აღმოსავლეთ პარნტიორობის" მონაწილე ხუთ სახელმწიფოსთან (აზერბაიჯანი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი, უკრაინა), ხოლო ევროკავშირსა და ბელარუსის რესპუბლიკას შორის მოლაპარაკებები შეთანხმებების დადების თაობაზე, 2014 წელს გაიხსნა.

საქართველო-ევროკავშირის სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის შეთანხმებები
2008 წლის 1 სექტემბერს, ევროპული საბჭოს საგანგებო სხდომის დასკვნით დოკუმენტში, ხაზი გაესვა საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის გამარტივების მიმართულებით თანამშრომლობის შემდგომი ინტენსიფიკაციის აუცილებლობას. სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის შესახებ მოლაპარაკებების წამოწყების თაობაზე მანდატი ევროკავშირის სამართლისა და საშინაო საქმეების საბჭომ 2008 წლის 27 ნოემბერს დაამტკიცა.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის **სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ შეთანხმებას** (იხ. დანართი) 2010 წლის 17 ივნისს, ხოლო **რეადმისიის შესახებ შეთანხმებას** (იხ. დანართი) 2010 წლის 22 ნოემბერს მოეწერა ხელი. სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის შეთანხმებები ძალაში 2011 წლის 1 მარტს შევიდა.
სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ შეთანხმება საქართველოს მოქალაქეების გარკვეულ კატეგორიებისთვის ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში ვიზის მიღების პროცედურას ამარტივებს და ამცირებს/აუქმებს ვიზის საფასურს (დეტალური აღწერისთვის იხ. დანართი), ხოლო რეადმისიის შესახებ შეთანხმება, ევროკავშირის ტერიტორიაზე უკანონოდ მცხოვრები პირის დაბრუნების წესებსა და პროცედურებს ადგენს (იხ. დანართი).

სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის შესახებ შეთანხმებათა წარმატებული განხორციელების (ასევე, სამართლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების სფეროში წარმატებული რეფორმები) შედეგად, 2012 წლის 4 ივნისს, საქართველო-ევროკავშირს შორის სავიზო ლიბერალიზაციის შესახებ დიალოგი ოფიციალურად გაიხსნა, ხოლო 2013 წლის 25 თებერვალს, შინაგან საქმეთა საკითხებში ევროკომისრის სესილია მალსტრომის ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს მთავრობას გადაეცა ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა.

დამატებით იხილეთ

- სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ შეთანხმება- http://www.eu-nato.gov.ge/sites/default/files/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9D%20%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9F%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91%20%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%AE%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90.pdf

- რეადმისიის შესახებ შეთანხმება - http://www.eu-nato.gov.ge/sites/default/files/%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91%20%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%AE%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90.pdf

- სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის პროცედურების აღწერა - http://www.eu-nato.gov.ge/sites/default/files/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9D%20%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9F%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90.pdf